წინა გარეკანი ნამდვილი ამბავი
ლორია
რომელიც არავის უყვარდა
მწერალი: არლენ ადამსი
შემოქმედება: ჯეინი ჰეინესი & ჯონ ჰარმსი

დორია

უსიყვარულო · არასასურველი · დამცირებული

ყოველივე გამოსცადა როგორც ობოლმა.
მშობლებისგან უარყოფილი, ერთი თავშესაფარიდან მეორეში
დადიოდა, სადაც ცუდად ექცეოდნენ და ამცირებდნენ.
ის მხოლოდ ტანჯვასა და სისატიკეს იცნობდა ბავშვობაში,
მაგრამ ამ მძიმე დღეებში მან მეტად განსა
კუთრებული მეგობარი აღმოაჩინა. ეს იყო მეგობარი, რომლიც
მუდამ მის გვერდში იდგა გაჭირვების
ჟამს და მის უიმედობას იმედით ცვლიდა.

დღეს დორია იმედის ამ სიტყვას მთელ
მსოფლიოში უზიარებს ბავშვებს:
“მე ვისწავლე, რომ მას შეუძლია არარაობიდან
მნიშვნელოვანი ადამიანი შექმნას.
თუ ყველაფერი დაგავიწყდება რაც გითხარი,
ერთ რამეს ნუ დაივიწყებ...

ღმერთს უყვარხარ!”

GEORGIAN

დორიპ

რომელიც არავის უყვარდა

გთხოვ, დედიკო ...მეც ჩამეხუტე!
კარგი, ნუ მაწუხებ, დაღლილი ვარ!
დედა სამზარეულოში გავიდა...
ეი, დორია, შენ კიდევ ერთი ჭიქა გატეხე! შე მოუქნელო, სულელო გოგო, არ შეგიძლია რაიმეს წესიერად გაკეთება?
მან დორიას ძლიერად უთავაზა სახეში.
ეს მეტ სიფრთხილეს გასწავლის შემდეგისთვის!
დაიძინე – ამ საღამოს არაფერს შეჭამ!
ბევრჯერ ღამ-ღამობით დორიას ელვიძა და ჩუმად ტიროდა, ისე, რომ დედამისს არ გაეგონა.
რატომ არ მოვწონვარ? რატომ უყვარს მარი, მე კი არა? რატომ ამბობს ყოველთვის, რომ უშნო ვარ?
აი მარი, ეს ჭიქა წყალი შენთვისაა... და ეს ჯემიანი პურიც გაათავე.
დორია კი განაგრძობდა თავის დაზე ზრუნვას.

დღეები და თვეები უსასრულოდ იწელებოდა, ყოველთვის ერთი და იგივე...
დორიამ იცოდა, რომ ის არასასურველი იყო და არ უყვარდათ. მის სახლში არ იცინოდნენ – არავითარი სათამაშოები, არავითარი მხიარულება.
მაგრამ ერთ დღეს ყველაფერი შეიცვალა. დედა გამაოგნებელი ამბით დაბრუნდა.
ჩაიცვით ქურთუკები და გამომყევით. ამიერიდან თქვენზე ვეღარ ვიზრუნებ, ამიტომაც სახლში მიმყავხართ.
?
ისინი ტრამვაით წავიდნენ; დორიამ თავისი ტანსაცმლის პატარა შეკვრა წაიღო.
რას ნიშნავს "სახლი"? როგორი სახლი?
ისინი რკინის მაღალ ჭიშკართან შეჩერდნენ...
დედამ უთხრა შიგნით შესულიყვნენ.
?
კარგად იყავით, გინახულებთ ზოგჯერ.
ისინი რომ მივიდნენ ლანჩის დრო იყო და საჩქაროდ წაიყვანეს დიდ ოთახში, სადაც სამოცამდე ბავშვი უსხდა გრძელ მაგიდებს.
ვინ არიან ეს ბავშვები? ეს სკოლაა?
სიწყნარე იყოს მაგიდასთან! ყველამ სწრაფად შეჭამოს. თუ რაიმეს თქმა გინდათ, ხელი ასწიეთ!

ფუ!
ჭარხალია! მე არ მიყვარს ჭარხალი!
მაშინ მისი შეყვარება მოგიწევს. არ ადგები მაგიდიდან, სანამ არ გაათავებ!
დორია ჯიუტი გოგონა იყო, მაგრამ დირექტორი კიდევ უფრო ჯიუტი და ქვა აღმოჩნდა...
ღანჩი დასრულდა... ვახშამმაც ჩაიარა... დორიამ პირი არ დააკარა საჭმელს, მაგრამ მაინც არ დართეს ნება მაგიდიდან ამდგარიყო.
ბოლოს როგორც იქნა დადგა ძილის დრო. მარი უმცროსი გოგონების ჯგუფში წაიყვანეს და დორია მარტო დარჩა. მატრონმა ის სასტიკად გაშოლტა და კიბეების ავლით საძინებელში აიყვანა.
ამ სახლში შენ ისწავლი იმის კეთებას, რასაც გეტყვიან!
ის ბნელ ოთახში შეიყვანეს, სადაც ოცი საწოლი იდგა.
ეს შენი საწოლია. ტანსაცმელი განჯინაში დაკიდე და ახლავე დაიძინე!
დედა მალე დაბრუნდება?
ო, ის დაბრუნდება ერთ მშვენიერ დდეს.
პირველი ღამით დორიამ ტირილში დაიძინა; და ასე გრძელდებოდა შემდგომ შვიდ წელიწადს ყოველ ღამით.

მომდევნო დილა...
რა ჰქვია ამ ადგილს?
ეს ობოლთა თავშესაფარია. ამ ადგილზე მაშინ მიჰყავხარ, როცა არავის უნდიხარ.

მის გაბრიელმა, მატრონმა სათამაშო ოთახი აჩვენა.
თითოეულ ბავშვს თავისი საკუთარი ყუთი აქვს ნივთების შესანახად. შენ შეგიძლია, ბოლოში რომ დევს, ის ყუთი აიღო...
რა ნივთები? მე არაფერი გამაჩნია.

შეიძლება შენი ერთი სათამაშო ჩემს ყუთში შევინახო?
თავი გაანებე! ეს ჩემია...

მე აქ ცოტა ხნით ვარ. მოვიცდი, სანამ დედა დაბრუნდება, იმედი მაქვს ლოდინი დიდხანს არ მომიწევს.

მაგრამ დღეები... კვირები მიდიოდა ... დედა კი არ ჩანდა დორია თანდათანობით ხვდებოდა, რომ ის აქ დატოვეს. ის მხოლოდ ერთ გზას ხედავდა თავის გასატანად – მაგრად მდგარიყო!
ეი, ამას ხელი გაუშვი! ეს ჩემია!
მომეცი! მეც მინდა თამაში!

ის უარს ამბობდა ყოველ დილით მორთმეულ შვრიის ფაფის ჭამაზე...
ამას მოგვიანებით გადავაფურთხებ ხელსაბან ნიჟარაში.

ეს იქამდე გაგრძელდა, სანამ მატრონი შეასწრებდა!
დორია!
ახლავე აქ მოდი!
?!

მან პირი საპნით გამოირეცხა...
და მას შემდეგ შვრიის ფაფა უფრო
გემრიელი იყო!
ფუჰ!
თანდათან დორიამ მეგობრებიც გაიჩინა.
დორი, აი ჩემი ფერადი ფანქრები. შეგიძლია გამოიყენო.
გმადლობთ ესთერ, მე ორივესთვის გადავინახე ფურცლები სკოლიდან.
მაგრამ ერთ დღეს ესთერი მოულოდნელად გაუჩინარდა.
სად არის ესთერი?
ო, ის დღეს წავიდა. ოჯახმა აიყვანა.
დორია ლოგინზე დაენარცხა და ატირდა.
ხომ გითხარი მეგობრებს ნუ გაიჩენ მეთქი. ისინი მიდიან! შენ მხოლოდ ტკივილს ღებულობ.
ახლავე შეწყვიტე ტირილი! შენ მხოლოდ საკუთარი თავი გეცოდება!
მის გაბრიელი ბავშვებს გამუდმებით სცემდა უმიზეზოდ...
დორიას ჩაუდენელი დანაშაულის გამოც სცემდნენ!



დორიას ორი რამის კეთება უყვარდა – კითხვა და ხატვა, რაც მის ცხოვრებას ასატანს ხდიდა.

საგაზეთო ჯიხურის გარეთ...
ერთ დდეს, მე ცნობილი მხატვარი ვიქნები. ჩემი ნახატები აქ გამოჩნდება!
თუმცა, დორია ყველაზე მეტად ოჯახზე ოცნებობდა, ოჯახზე, რომელსაც მართლა ეყვარებოდა ის.
ამოიოხრა!... ეს მართლაც სასიამოვნო უნდა იყოს, როცა ვინმეს უყვარხარ.
თვეში ერთხელ, ობოლთა თავშესაფარში განსაკუთრებული დღე დგებოდა, რომელსაც ბავშვები დიდი ინტერესით და მღელვარებით ხვდებოდნენ! ამ დღეს, ზრდასრული ადამიანები მოდიოდნენ და ირჩევდნენ მათთვის სასურველ ბავშვს.
დორიამ სახე დაიბანა, თმა დაივარცხნა და თავისი საუკეთესო კაბა ჩაიცვა.
გთხოვთ, მე ამირჩიეთ დდეს!
მაგრამ დორიას ყოველ თვე გვერდს უვლიდნენ...
ნახე, რა საყვარელია ეს პატარა ბიჭი!
ჩვენ აი ამ ოქროსკულულებიან პატარა გოგონას ავიყვანთ!
მალე მას უკვე ეშინოდა ყოველთვიური სტუმრობების და მოსულებს ემალებოდა.
დორია, სულელო ბავშვო, ახლავე გამოდი მაქედან.
ისინი არ მირჩევენ, რადგან მე მსუქანი და უშნო ვარ. ასე რომ, რატომ უნდა გამოვიდე?

ერთ დღეს, სახლს სტუდენტთა ჯგუფი ესტუმრა. მათ ბავშვებს სიმღერები ასწავლეს და ბიბლიიდან ამბები მოუთხრეს.
?
დმერთს ძალიან უყვარხარ, მას უნდა, რომ შენი მამა იყოს და შენზე ზრუნავდეს.
ეს ტყუილია!
არავის ვუყვარვარ!
მას იმდენად უყვარხარ, რომ თავისი შვილი, იესო გამოგზავნა, რათა შენი ყველა დანაშაულისთვის ის დასჯილიყო...
ასე რომ, ახლა შენ შეგიძლია მიიღო მიტევება და დმერთთან მიხვიდე.
სურს რომელიმე თქვენგანს, რომ თავისი სიცოცხლე მას ჩააბაროს?
მე ჩავაბარებდი, მაგრამ სხვები მხოლოდ დამცინებენ.
თუ ყველაფერი დაგავიწყდება ჩვენი დდევანდელი საუბრიდან, ერთი რამეს ნუ დაივიწყებ...


ღმერთს უყვარხარ!
ღმერთს ვუყვარვარ? განა შეიძლება ეს სიმართლე იყოს?
კარგი. ღმერთო, თუ ეს ასეა, შენ ერთადერთი ხარ ვისაც ვუყვარვარ. თუ გსურს, მე შენი ვიქნები...
მის დატანჯულ პატარა გულში საოცარი სიმშვიდე შეიპარა, და მან იცოდა, რომ რაღაც საოცრება მოხდა.
ეს სიმართლეა! მე ღმერთს მართლა ვუყვარვარ, მე ვგრძნობ ამას!
იმ ღამეს, დორიამ ლოგინში ისევ იტირა...
ახლა რაღა დაგემართა, დორია?
მაგრამ, ამჯერად სიხარულის გამო იტირა!
რამენიმე კვირის შემდეგ, ობოლთა თავშესაფარში ერთი თბილი და მეგობრული მატრონი მოვიდა სამუშაოდ.
დორია, წამოხვალ ჩემთან ერთად ეკლესიაში?
ეკლესია? არ ვიცი როგორია. მაგრამ... კარგით, წამოვალ!
ღმერთს ყველა ვუყვარვართ, მაგრამ ჩვენი ცოდვები გვაშორებს მას...
ცოდვის საზღაური სიკვდილია, მაგრამ იესომ სასჯელი საკუთარ თავზე აიღო ჩვენი გულისთვის!

ახლა ჩვენ შეგვიძლია შენდობა ვთხოვოთ ღმერთს. მასთან მისასვლელი გზა გახსნილია.
იესო მიიღო, მან მისცა ხელმწიფება ღვთის შვილ-ებად გახდომისა.
ყველას, ვინც

აი, რა მოხდა, როცა ობოლთა თავშესაფარში ვილოცე... მე ღმერთის შვილი გავხდი!

დორია, მე შენთვის საჩუქარი მაქვს.
საჩუქარი? ჩემთვის? რა არის?

ეს ბიბლიაა – ღმერთის სიტყვა. წაიკითხე ეს ყოველდღე და ღმერთი დაგელაპარაკება მისი საშუალებით.
ოო, გმადლობთ! ეს ჩემს სიცოცხლეში პირველი საჩუქარია!

ეს შესანიშნავია – ჩემი საკუთარი ბიბლია! გმადლობთ, მამავ ზეციერო. გპირდები ყოველდღე წავიკითხავ მას...


დორია ახლა 13 წლის არის და ობოლთა თავშესაფარი უნდა დატოვოს. მისთვის და მარისთვის მოიძებნა ოჯახი, რომელიც მათ დროებით იშვილებს. თავშესაფარში გატარებული 7 წლის შემდეგ ისინი გარე სამყაროში უნდა გავიდნენ.

მაგრამ მათი დროებითი თავშესაფარი ისეთი არ აღმოჩნდა, როგორსაც ისინი ელოდნენ...
მე დედათქვენის მეგობარი ვარ... ბებია დამიძახეთ.
ამ სახლში იმას გააკეთებთ, რასაც გეტყვით ან არადა მიიღებთ... გასაგებია?
სადილობის დროს...
დიახ, დეიდა.
გოგონებო შეგიძლიათ მოგვიანებით დაამთავროთ, თუ რამე დაგრჩათ შესაჭმელი.
თქვენი შენახვა ძვირი ჯდება, წადით და დედათქვენი მონახეთ... უთხარით უფრო მეტი ფული მჭირდება.
კი, მაგრამ სად ვეძებოთ ის?
საიდან უნდა ვიცოდე? ის მოსამსახურედ არის სადმე... უბრალოდ წადით და მოძებნეთ.
წადი, მარი ...წადით!
და ფულის გარეშე არ დაბრუნდეთ, თორემ ხომ იცით რაც მოგივათ!
დორია და მარი წანწალით დადიოდნენ ქუჩებში და რესტორნებში იყურებოდნენ...

უკაცრავად სერ, ჩვენ დედას ვეძებთ.
ბავშვიანი ქალი აქ არავინ მუშაობს.

უეცრად ის დაინახეს...
დედა, დედიკო, ჩვენ შენ გიპოვეთ!

დორია, მომშორდი! მე არ ვარ დედაშენი!
გთხოვ დედა, დეიდას ფული სჭირდება!
კარგი, უთხარით რომ არაფერი მაქვს. ახლა კი მომშორდით!

ისევ ბებიასთან...
სულელო გოგონა! ხომ გითხარი არ დაბრუნებულიყავი ფულის გარეშე!

ო, ძვირფასო ღმერთო, რა მოხდა? მე ხომ ვილოცე, რომ დედა გვეპოვა. შენ დაგვეხმარე მის პოვნაში, მან კი ჩვენ არ გვინდომა და არც ფული მოგვცა.
მაგრამ ღმერთი ზრუნავდა დორიაზე და მცირე დროის შემდეგ...


ის და მარი ბებიას სახლიდან გოგონების საერთო საცხოვრებელში გადაიყვანეს.

ეს სახლი გულთბილი მოულოდნელობა იყო მათ სასტიკ და მკაცრ ცხოვრებაში, თუმცა ისინი აქ მხოლოდ ოთხი თვე გაჩერდნენ.

მარიმ მაკინის ქალიშვილთან დაიძინა ხოლო დორიამ საგორავებელ საწოლზე ჰოლში, და ხშირად...

ძვირფასო მამა, გთხოვ, დამეხმარე დღეს გაკვეთილებზე და გეხვეწები, არ მისცე ქ-ნ მაკინს საშუალება კვლავ მცემოს სკოლის შემდეგ.

ღმერთი ხშირად ელაპარაკებოდა დორიას იმ სიტყვებით, რომლებიც ბიბლიიდან დაიმახსოვრა.
ნეტა, ასეთი ლამაზი სამოსელი მქონდეს!

''დორი, შენ ლამაზად ხარ შემოსილი ქრისტეს სიმართლით.''

მეორე დღეს...
ძაილან მშია... ნეტა რაიმეს შეძენის საშუალება მქონდეს.
“ადამიანი არა მხოლოდ პურით ცოცხლობს...”

ნეტა ისეთი ადამიანი მყავდეს, ხელი ჩაეკიდა ჩემთვის.
''დორი, მე ვიქნები შენი მამა და დედა, შენი ძმა და და. მე ყოველთვის შენთან ვარ''.

მე შემიძლია მშვიდად დავიძინო, რადგან ის ზრუნავს ჩემზე!



ამის შემდეგ ის ლოცულობდა, რომ მაკინები ყოველ კვირა შუადღით წასულიყვნენ სახლიდან, რათა ქრისტიანული რადიო პროგრამა მოესმინა.

კვირაობით დორია ქალაქის ქუჩებში დადიოდა და ეკლესიას ეძებდა.

მან ბაპტისტურ ეკლესიაში დაიწყო სიარული და რამდენიმე ხანში სახალხოდ მოინათლა.



თუმცა მაკინები არც თუ ისე ბედნიერები იყვნენ...

ისინი განაგრძობდნენ მის ცემას. სანამ სკოლაში... მმ...
ეს კედელზე გამეკაწრა.
ვერ გავბედავ სახლის ამბებზე ლაპარაკს. მაკინები თუ მიხვდებიან, რომ მათ ვაბეზღებ, კიდევ უფრო ცუდად მომექცევეიან.
დორია, სახეზე რა ჭრილობა გაქვს?
დორი... ცხვირიდან სისხლი მოგდის.
მმმ... სკოლაში დავეცი.
მაგრამ საბოლოოდ, ერთ დღეს სკოლის გარეთ...
დორის დაქვორთი ხართ?
დ... დიახ.
დედაშენს ბრალი ედება ბავშვის უპატრონობასა და უყურადღებოდ მოქცევისათვის. ჩვენ ეს ასევე ვაცნობეთ იმათ, ვისთანაც შენ ცხოვრობ.
ოჰ, არა! ამჯერად ჩემი საქმე მართლა წასულია!
მოგვიანებით იმავე დღეს მაკინებთან...
შემოეთრიე, გაფუჭებულო ბავშვო!

ეს როგორ გაგვიკეთე? რამდენი სიკეთე გიყავით! ჩვენ ხომ სახლი მოგეცით, **უმადურო!**
და ახლა პოლიციაში დაგვაბეზღე!
შეჩერდი, შეჩერდი! შენ მე მომკლავ!
ძვირფასო ღმერთო, ეს მეტისმეტია. გთხოვ მომაშორო ამ ადგილს.
ღმერთმა იცის ვის რამდენის ატანა შეუძლია...
რამდენიმე დღის შემდეგ სასამართლო დარბაზში...
დორის დაქვორთ, წინ გამოდით.
ლაურა დაქვორთ, ეს თქვენი ქალიშვილია?
დიახ, ასე უნდა იყოს. მაგრამ, რომ შემძლებოდა თავიდან მოვიცილებდი!
ამას მცირე დისკუსია მოჰყვა. შემდეგ მოსამართლემ თავისი ვერდიქტი გამოიტანა.
დორის და მარის სამუდამოდ ჩამოგაცილებენ და მათზე სასამართლო იზრუნებს.
დორის, შენ წაგიყვანენ მაკინებიდან და ახალ სახლში იცხოვრებ!
ოჰ, ღმერთო, ეს შენ გააკეთე!
დედამისი გაცეცხლებული იყო.
თუ კიდევ გნახავ, მოგკლავ!

ახლა დორია საბოლოოდ მიხვდა, რატომ სძულდა დედას იგი...
მხოლოდ 15 წლის და დაუქორწინებელი ჩემზე ფეხმძიმედ იყო.
თავის ცხოვრებაში მომხდარ ყოველივე ცუდს მე მაბრალებს.
ის ჩემს გამო გათხოვდა, მაგრამ მამამ მალე მიგვატოვა. ღმერთო...
ღმერთო... დამეხმარე ვაპატიო. ეს ძალიან ძნელია, მაგრამ ესაა შენი სურვილი.
როგორც კი დორიამ ყოველივეს მიტევება გადაწყვიტა დედისთვის, მის გულში უფლის სიმშვიდე შევიდა და ღმერთმა მისი სულის ჭრილობების განკურნება დაიწყო.
მარის მაკინებთან ყოფნისას, დორიას სხვა ოჯახი გამოუჩნდა. მან შეკრა თავისი პატარა ქონება და უცნობებთან შესახვედრად გაემართა.
გამარჯობა, დორია. კეთილი იყოს შენი მობრძანება!
მაგრამ მათმა მოვალეობრივმა ზრუნვამ ვერ დააკმაყოფილა დორიას ძლიერი სურვილი – ჰყვარებოდათ.
ნეტა ცოტათი მაინც ვუყვარდე.
დორია და მარი ყოველდღე ხვდებოდნენ ერთმანეთს სკოლაში.
დორი, შენთან რაღაც მაქვს სათქმელი... ვთხოვდები!
რას ამბობ მარი, შენ ხომ მხოლოდ თხუთმეტის ხარ?
ჯერ სკოლა დაამთავრე! შემდეგ ვიმუშავებთ ცოტახნით...
შენ არ გესმის, მე...
დორი, მე უნდა გავთხოვდე... ბავშვს ველოდები!
ო, არა, მეტად უნდა მეზრუნა მასზე! ის ისევე ეძებდა სიყვარულს, როგორც მე...
მაგრამ ამ ძიებამ ის მცდარ ურთიერთობაში შეიყვანა.

ერთ დღეს, როცა დორი 16 წლის იყო, ცნობისმოყვარეობამ გადააწყვეტინა კვლავ მოენახულებინა ობოლთა თავშესაფარი.

ეს შენი ოთახია, დორია! აი, იქ, საწოლზე შენთვის ახალი ტანსაცმელია.
ეს ყველაფერი ჩემთვისაა? რა ლამაზია.
და შემდეგ ის მიხვდა...
მაგრამ, ეს ხომ უნიფორმაა! მე მხოლოდ მოსამსახურე ვარ!
თუმცა, დორია ბედნიერი იყო ექიმის სახლში. ის იყო ერთადერთი ოჯახი, რომელიც მასზე ზრუნავდა.
დორი, შენ შესანიშნავად გამოგდის ბავშვებთან ურთიერთობა. ახლა მოდი და დაისვენე, დაიღლებოდი.
შეგიძლია ბიბლიოთეკაში ნებისმიერი წიგნი წაიკითხო.
ეს რა წიგნია, შენ რომ კითხულობ?
ეს ჩემი ბიბლიაა. მე მას ყოველდდე ვკითხულობ!
ის მე ღმერთის შესახებ მასწავლის. მინდა უკეთესად ვიცნობდე ღმერთს... მან ბევრი გადამატანინა!
მიხარია, რომ რწმენამ ნუგეში მოგიტანა შენი ცხოვრების მძიმე დღეებში.
ო, ეს გაცილებით მეტია ქ-ნო უელჩ, რადგან იესომ წარხოცა ჩემი ცოდვები და მე ღმერთის ოჯახს შევუერთდი.
თუ სთხოვთ, ის იგივეს გააკეთებს თქვენთვის.
მე არ მჭირდება ღმერთი, დორი. მე კარგი ქმარი და ორი საყვარელი ბავშვი მყავს. მეტი რაღა მინდა?
ის ისე კარგად მექცეოდა, ნეტავი შემძლებოდა გამეგებინებინა ეს მისთვის!

სკოლის დამთავრების შემდეგ დორიამ სწავლა ხელოვნების კოლეჯში გააგრძელა. ის ახლა 19 წლისაა და იცის, რომ ამ ოჯახში მოსამსახურედ სამუდამოდ ვერ დარჩება. ერთ დღეს დოქტორმა უელჩმა ის გააკვირვა...
დორია, სად არის მამაშენი?
ჩემი... ჩემი მამა? არ ვიცი. მე ის არასდროს მინახავს.
მოდი რამე გავარკვიოთ მის შესახებ, რას იტყვი?
მგონი, ოკლაჰომაში უნდა ცხოვრობდეს, ერთხელ ყური მოვკარი.
ოპერატორო... მე ექიმი ვარ. შეგიძლია მითხრათ ბატონი ლ. დაქვორთი ცხოვრობს თუ არა ტულსაში, ოკლაჰომაში?
ერთი წუთით თუ შეიძლება... დიახ, მგონი ვიპოვე. გინდათ მისი ნომერი?
არა, გმადლობთ, უბრალოდ მინდოდა გამეგო იქ თუ ცხოვრობდა. ნახვამდის.
იცი დორი, მგონი სჯობს მამაშენის მისამართი გავარკვიოთ და წერილი მივწეროთ.
რა უცანურია წერილი დაუწერო ისეთ კაცს, რომელსაც არ იცნობ და ჰკითხო, არის თუ არა მამაჩემი.
ორი კვირის შემდეგ...
მოაწერთ ხელს ამ წერილს, გეთაყვა?
დიახ, რა თქმა უნდა!

ეს ჩემთვისაა!
მიდი, გახსენი სწრაფად.
არ შემიძლია. ბ-ნი დაქვორთისგანაა.
ვერ წავიკითხავ, უბრალოდ მითხარი რას ამბობს.
ნება მომეცი მე გავიხსნა.
ვიპოვე მამაჩემი!
ნახე, როგორი ხელმოწერაა!
სიყვარულით, მამიკო.
ვერ დავიჯერე, რომ ეს შენ იყავი... წარსულმა დაბრუნება დაიწყო... ძალზე მიხარია, რომ შენ კარგად ხარ და კვლავ მომწერე.
ვერ დამიჯერებია, რომ ეს ნამდვილად ხდება!
რამდენიმე კვირის შემდეგ ტელეფონმა დარეკა...
შეიძლება დორიას ველაპარაკო?
ეს მე ვარ.
დორია, ძვირფასო, ეს შენი მამიკოა, შენი ნახვა მინდა. შეგიძლია მესტუმრო?
მეშინია. არ მინდა ისევ უარმყონ.
არა, მამა, შენ თუ მიხილავ, არ ისურვებ ჩემთან ურთიერ-თობას.
ნუ სულელობ! რა თქმა უნდა ვისურვებ. მგზავრობისთვის ფულის ნახევარს გამოგიზავნი. მალე ჩამოდი!


დორიამ მხნეობა მოიკრიბა და კალიფორნიიდან ოკლაჰომამდე გრძელი მგზავრობისათვის ავტობუსის ბილეთი შეიძინა.
როგორ ვიცნობ მას?
რომ არ მოვეწონო?
ჩამოსული დორია მამას ეძებდა უცნობ ხალხში ავტობუსის გაჩერებაზე.
უკაცრავად, სერ, თქვენ მამაჩემი ხართ?
დორია!
მამამ ის სახლში წაიყვანა.
დორია, გაიცანი, ეს ჩემი ცოლი ბლანჩეა.
ძვირფასო, მოდი ჩემთან.
დორი, რატომ არ დარჩები ჩვენთან? სამუშაოს პოვნასაც შეძლებდი.
მას მართლა ვუნდივარ! მას ვუყვარვარ!
გმადლობთ, მამა, დიდი სიამოვნებით დავრჩები.
მამი, აქამდე რატომ არ გიცდია ჩვენი მოძებნა?
დაივიწყე ეს ძვირფასო. არ მინდა წარსულზე ლაპარაკი.
ვინ?
მამიკო, სანამ შენთან ჩამოვიდოდი, მხოლოდ ერთი განსაკუთრებული მეგობარი მყავდა.

იესო. როცა ობოლთა თავშესაფარში ცხოვრება ჭირდა, მე მას ჩემი ცხოვრება გადავეცი და ის ჩემი საუკეთესო მეგობარი გახდა!
მე არ მაქვს დრო ღმერთისთვის! არ მინდა მსგავსი საუბარი მოვისმინო.
მაგრამ, მამა, მას შენ უყვარხარ!
სისულელეა! შენ შეიძლება გჭირდება რელიგია, მაგრამ მე ეს არ მაინტერესებს. ამიერიდან ამაზე სიტყვის გაგონებაც არ მინდა!
შენ ახალგაზრდა ხარ. დრო გაატარე, გაერთე. შენ ძალიან პატარა ხარ სერიოზული ცხოვრებისთვის.
რატომ არის, რომ ეს ამდენ ხალხს არ ესმის?
დორიას მოეჩვენა, თითქოს ხმა ელაპარაკებოდა...
მე არ შემიძლია ერთდროულად ჩემს მიწიერ და ზეციერ მამას ვასიამოვნო.
დორიამ მამასთან ორი წელი იცხოვრა. მის გულში დაძაბულობა მხოლოდ იზრდებოდა.
ვინ შეგიყვარა, როცა ყველასგან მიტოვებული იყავი?
ეს სიმართლეა! მამა არასოდეს მოდიოდა ჩემს სანახავად ობოლთა თავშესაფარში. მას არასოდეს უცდია ჩემი მოძებნა.
და მაშინ, როცა დედაჩემმა შეურაცხყოფა მომაყენა და გული მატკინა, ღმერთმა მანუგეშა...
უფალო, შენ ერთადერთი ხარ, ვინც გაჭირვების წლებში ჩემს გვერდით იდგა. მე არ ვაპირებ ზურგი შეგაქციო!
მამა, მე გადავწყვიტე კალიფორნიაში დავბრუნდე.
თუ შენ ეს გინდა ძვირფასო, მე საწინააღმდეგო არაფერი მაქვს.
დორიამ დამძიმებული გულით ჩაალაგა ჩემოდანი, დაემშვიდობა მამას და ავტობუსის გაჩერებისკენ გაემართა.


დორია უკვე 21 წლის იყო. მან მალე ახალი სამუშაო ნახა და კალიფორნიის ჩვეულ ცხოვრებას დაუბრუნდა. თუმცა, მიუხედავად კარგი ცხოვრებისა, ის თავს მოუსვენრად გრძნობდა...


დორია, გაიღებდი საკუთარ სიცოცხლეს, სხვებისთვის რომ მოგეთხრო ჩემს შესახებ?
სამუშაოსთვის თავის დანებებას გულისხმობ? სხვა ქვეყანაში წასვლას? ო, ღმერთო, ეს ძალზე ძნელი იქნება.
მაგრამ, იესომ ხომ თავისი სიცოცხლე გაიღო ჩემთვის? განა შეიძლება ამაზე ნაკლების გაკეთება?
კარგი, ღმერთო, გავაკეთებ რასაც გინდა და სადაც გსურს, იქ წავალ.

ღმერთმა დორია შორეული ქვეყნის ხალხთან გაგზავნა, რომელთაც არაფერი სმენოდათ იესოზე და არც მისი სიყვარულის შესახებ იცოდნენ რაიმე.
გამგზავრებამდე ჩემს მიწიერ მშობლებს უნდა შევხვდე და დავემშვიდობო.

ის თავს ბედნიერად გრძნობს სამსახურში. ფიქრობს კი საერთოდ ჩემზე?
აი, ისიც!
გინდა მასთან საუბარი?
არა, სჯობს არ დაველაპარაკო.

ღმერთო, ეს გულს კიდევ მტკენს. მადლობა, მის მიტევებაში რომ მეხმარები. გთხოვ აკურთხო ის – მას შენ სჭირდები.
მე არ შეიძლა წარსული შევცვალო. დამეხმარე ამის დავიწყებაში. შენ მომავალი გაქვს ჩემთვის და მე მინდა წინ ვიარო.


მამიკო!
შემდეგ მან ავტობუსით დიდი გზა განვლო, რათა მამასთვის ეთქვა თავისი გადაწყვეტილების შესახებ და დამშვიდობებოდა.
გამარჯობა, ძვირფასო! რა კარგია, ისევ რომ გნახე!

დორიას მამას გული აწუხებდა და ძალიან ავად იყო.
დორია, ყოველთვის ვიცოდი, როგორი ცხოვრება მინდოდა, მაგრამ არ ვიცი როგორ მოვკვდე – ახლა კი ვკვდები.
მამიკო, ქრისტე ერთადერთია, ვისაც ჩვენი შემზადება შეუძლია სიკვდილისთვის. შენ შეგიძლია მიიღო ის.
არა! მე ის არც მაშინ მინდოდა როცა ჯანმრთელი ვიყავი და არც ახლა!
მაგრამ, მამა, მას შენ უყვარხარ!
შეწყვიტე ეგ საუბარი! ამაზე სიტყვის გაგონებაც არ მსურს!
მამა, მე იმის სათქმელად მოვედი, რომ მისიონერად ვაპირებ წასვლას სხვა ქვეყანაში, რათა ხალხს იესოს შესახებ ვამცნო.
თუ ასე აპირებ ცხოვრებას, არ ამოალაგო ჩანთა... დაბრუნდი კალიფორნიაში!
მამა! მითხარი, რომ ეს სიმართლე არ არის!
ეს სიმართლეა შვილო!
არ მინდა ისევ გიხილო ოდესმე!
დორიამ ტაქსი გამოიძახა და თავისი ჩემოდანი წაიღო.
ნახვამდის, მამა... მე ისევ მიყვარხარ!
TAXI
დორიას ამის შემდეგ მამა აღარ უნახავს.
უფალო, ის ერთადერთი ადამიანია, ვისაც ოდესმე ვუყვარდი. როგორ შეეძლო ასე მომქცეოდა?
ღმერთი დაელაპარაკა მის გატეხილ გულს, როცა ის მიდიოდა...
"ვერაფერი დაგაშორებს ჩემს სიყვარულს".
"მე არასდროს მიგატოვებ."

დედაჩემი ნანობს, რომ გავუჩნდი... სანამ პატარა ვიყავი, მამა ჩემზე არ ზრუნავდა და ახლა მან ჩემზე უარი თქვა...


მხოლოდ ერთმა მეგობარმა არ მიმატოვა – იესომ! გმადლობთ ღმერთო, რომ არ მტოვებ. მაგრამ, გთხოვ, განკურნე ეს საშინელი ჭრილობები.

მისიონერთა სკოლაში...
რა სიმპათიური კაცია. ბედნიერია ის გოგო, ვინც მას მოიპოვებს!
რა საყვარელი გოგოა? ნეტა რა ჰქვია?

დორია, წამოხვალ ჩემთან ერთად ჰამბურგერის მადაზიაში?
დიდი სიამოვნებით!
მას შემდეგ ლოიდი და დორია რეგულარულად ხვდებოდნენ და მათი მეგობრობა თანდათან ღრმავდებოდა.

დორია, მიყვარხარ. გამომყვები ცოლად?
ო, დიახ, სიამოვნებით!


მოგვიანებით...
ღმერთო, რა კეთილი ხარ ჩემს მიმართ? განა შეიძლება მამაკაცს შევყვარებოდი? მას არ ადარდებს თუ როგორ გამოვიყურები. ეს დაუჯერებელია.
ღმერთმა მას პასუხი თავისი სიტყვიდან გასცა...
არავინ არის, რომ ღვთის სასუფევლის გულისათვის დატოვოს სახლი ან ცოლი, ან მშობლები, ან ძმები, ან შვილები და ახლავე არ მიიღოს მრავლგზის მეტი და საუკუნო სიცოცხლე!

უფალო, დაე კურთხევა ვიყოთ ამ ქვეყანაზე – ჩვენი სახლით აკურთხე სხვები.
ღმერთო, თუ შეგიძლია ლამაზი გამხადო ერთი დღით, გააკეთე ეს დღეს.
გმადლობთ უფალო, დღეს ლამაზად ვგრძნობ თავს!
მას შემდეგ რაც ლოიდმა და დორიამ იქორწინეს, ისინი მისიონერებად წავიდნენ ახალ გვინეაში, დიდ კუნძულზე აზიის შორეულ სამხრეთში.
ახალი გვინეა
მათ უამრავ ხალხს ამცნეს ღმერთის შესახებ.
ღმერთო, გთხოვ მომიტევო, რაც კი ცუდი ჩამიდენია. შემოდი ჩემს ცხოვრებაში ახლავე.
მრავალმა ირწმუნა ღვთის სიტყვა და ღმერთს ჩააბარა საკუთარი ცხოვრება.
ღმერთის სიყვარულის ადმოჩენით ის თავად გადაიქცა მზრუნველ და მოსიყვრულე ქალად, რომელსაც ამ სიყვარულის სხვებისთვის გაზიარება შეეძლო.
მარტოხელა, პატარა გოგონა, რომელიც წლების წინ იჯდა და ელოდა ვინმეს ჰყვარებოდა...

წლების შემდეგ, დორიას შეეძლო საკუთარი ბავშვებისთვის მოეთხრო...
ყოველივე გადატანილით მე ღმერთი შევიცანი და ვისწავლე, რომ მას შეუძლია არარაობიდან მნიშვნელოვანი ადამიანი შექმნას. თუ ყველაფერი დაგავიწყდება რაც გითხარი, ერთი რამეს ნუ დავიწყებ...
ღმერთს უყვარხარ!
მრავალი წლის შემდეგ, დორია კვლავ უზიარებს ბავშვებს ღვთის სიტყვას მთელს მსოფლიოში.
გინდა ღმერთი გაიცნო როგორც საკუთარი მამა, ისევე როგორც ეს მე გავაკეთე? შევეცდები რაც შეიძლება მარტივად აგიხსნა.
მაშინაც კი, როცა პატარა ვიყავი, ვიცოდი რომ ჩვენ ყველა უამრავ ცუდ საქციელს ჩავდივართ...
ამას მოგვიანებით გადავაფართხუბ ნიჟარაში.
ტყუილი...
დორია, ახლავე აქ მოდი!
ქურდობა...
დაუმორჩილებლობა
მე ბევრი ადამიანი მძულდა და ზოგისაც მშურდა.
ღმერთი ამ ყველაფერს ცოდვას ეძახის.


ღმერთის ძემ იტვირთა სასჯელი ჩვენი ცოდვებისთვის და ჯვარს გაეკრა.
ღმერთი
კაცი
იესო
ღმერთი წმიდაა. ჩვენ ცოდვები გვაშორებს მას. ღმერთი ამბობს, რომ ცოდვის საზღაური სიკვდილია.
თუ იწამებ, რომ იესო შენთვის მოკვდა და ცოდვების მიტევებას სთხოვ, შენ მისი შვილი გახდები. ის მოვა და შენს გულში იცხოვრებს თავისი სულით და დაგეხმარება ახალი ცხოვრება დაიწყო მასში.
ცოდვა
იესო ცოცხალია დღეს!
ის მკვდრეთით აღდგა და ზეცას დაუბრუნდა.

კიდევ ერთი კარგი ამბავი!
გაქვს სურვილი მიხვიდე ღმერთთან და სიცოცხლე ჩააბარო? მაშინ ამ ლოცვით ილოცე...
ძვირფასო ღმერთო, გმადლობთ იესოს გამომგზავნისთვის, ჩემი ცოდვები რომ ეტვირთა.
გთხოვ მომიტევო შენს წინაშე ჩადენილი ყოველივე დანაშაული. შემოდი ჩემს ცხოვრებაში, გახდი ჩემი მხსნელი და ამიერიდან შენ მიწინამძღვრე.
ამინ!

კეთილ იყოს შენი მობრძანება ღმერთის ოჯახში! მას შენ უყვარხარ და ის გპირდება, რომ არასდროს მიგატოვებს და არ დაგივიწყებს.
1.
გამონახე დრო, რომ ყოველდღიურად ესაუბრო ღმერთს ლოცვით.
2.
წაიკითხე მისი სიტყვა – ბიბლია. ღმერთი ყოველდღე დაგელაპარაკება მისი მეშვეობით და წინ წაგიძღვება.
3.
რაც შეიძლება ხშირად შეხვდი სხვა მორწმუნეებს.
ის ხალხი შენი ახალი ოჯახია. ისინი გაგმხნევებენ და დაგეხმარებიან რწმენაში გაიზარდო.

This comic is an adaption of the book:
Dorie: the Girl Nobody Loved
© 1979 Published originally by Moody Press.

International copyright secured
for the comic edition through Moody Press.
© 2007 for the Georgian Dorie Comic
All rights reserved.